4.12.2023 წ.

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების
ცენტრალური დეპოზიტარის“
აქციონერებს

გაცნობებთ, რომ 2023 წლის 11 დეკემბერს 12:00 საათზე ჩატარდება სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ (ს/ნ 204935400, იურიდიული მის: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N74ა, შემდგომში - „ცენტრალური დეპოზიტარი“) აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 71, მე-10 ბლოკი, მე-7 სართული.

**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**

1. ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ცვლილების შესახებ;
2. ცენტრალური დეპოზიტარის სადამფუძნებლო შეთანხმების (მ.შ. წესდების) დამტკიცების შესახებ (მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით).
3. სს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის დივიდენდის განაწილების შესახებ, დივიდენდის სააღრიცხვო თარიღის დადგენის შესახებ და დივიდენდის გაცემის დაწყების თარიღის დადგენის შესახებ.

ცენტრალური დეპოზიტარის ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით, კრების სააღრიცხვო დღედ დადგენილია 2023 წლის 20 ნოემბერი. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება ჰქონდათ ამ დღისათვის.

წინამდებარე დღის წესრიგი და მასთან დაკავშირებული რეკომენდაციები (იხ. დანართი 1) გამოქვეყნებულია მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონულ პორტალზე და ცენტრალური დეპოზიტარის ვებ-გვერდზე (www.gcsd.ge).

კრების ჩატარებამდე ყოველ სამუშაო დღეს, 10:00-დან 17:30 საათამდე, ცენტრალური დეპოზიტარის აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს სს „კავკასრეესტრი“, შეგიძლიათ შეამოწმოთ კრებაში თქვენი მონაწილეობის უფლება მისამართზე: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N74/მოსაშვილის ქ, 11, ან ცენტრალურ დეპოზიტარში, რისთვისაც ელექტრონულად (დასკანერებული სახით), უნდა გააგზავნოთ სათანადო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ასლი ელ. ფოსტის მისამართზე info@gcsd.ge.

აქციონერს საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შეუძლია როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით.

- წარმომადგენლის დანიშვნა და წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ დეპოზიტარისათვის შეტყობინება ხდება წერილობით ან ელექტრონულად.
- წარმომადგენელზე გაცემული **მინდობილობა უნდა იყოს დამოწმებული ნოტარიუსის მიერ;**
- საერთო კრებაზე ხმის მიცემა ხდება ღია კენჭისყრის პრინციპით;
- ცენტრალური დეპოზიტარის ხელმძღვანელ პირსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრს არ აქვთ უფლება საერთო კრებაში მონაწილეობა მიიღონ, როგორც აქციონერთა წარმომადგენლებმა.

2023 წლის 11 დეკემბერს 11:30 საათამდე ხმის უფლების მქონე აქციონერთა უფლებამოსილმა წარმომადგენლებმა უნდა გაიარონ რეგისტრაცია კრებაზე დასასწრებად, რისთვისაც უნდა წარმოადგინონ ცენტრალურ დეპოზიტარში თავიანთი მინდობილობა (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) და პირადობის მოწმობა/პასპორტი.

პატივისცემით,

ვალერიან დავითაია 

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

*დანართი №1*

**სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექციის რეკომენდაციები დღის წესრიგთან დაკავშირებით**

1. **დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით**

*რეკომენდაცია:*

ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ოთარ შარიქაძის (პ/ნ 01024019905) ნაცვლად 3 წლის ვადით არჩეული იქნას ირაკლი კირტავა (01024000443, საქართველო, თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 8, ბინა 7)

2. **დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით**

*რეკომენდაცია:*

დამტკიცდეს სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ სადამფუძნებლო შეთანხმების (მ.შ. წესდების) წარმოდგენილი რედაქცია აქციონერთა შენიშვნების გათვალისწინებით.

3. **დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით**

*რეკომენდაცია:*

„სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ აქციონერებზე განწილდეს დივიდენდი 299 455 ლარის ოდენობით, დივიდენდის სააღრიცხვო თარიღად დადგინდეს 2023 წლის 11 დეკემბერი, დივიდენდის გაცემის დაწყების თარიღად დადგინდეს 2023 წლის 2023 წლის 21 დეკემბერი.

27 ნოემბერი, 2023 წ.

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების
ცენტრალური დეპოზიტარის“
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ ვალერიან დავითაიას

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების
ცენტრალური დეპოზიტარის“
აქციათა 83,1% მესაკუთრე აქციონერის
სს „თბილისის საფონდო ბირჟის“ (ს/ნ 405099682)

**განცხადება**

ბატონო ვალერიან,

ჩვენ გავეცანით თქვენს მიერ 2023 წლის 20 ნოემბერს სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ ელექტრონულ პორტალზე გამოქვეყნებულ დოკუმენტაციას 2023 წლის 11 დეკემბერს აქციონერთა კრების ჩატარების შესახებ.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 191-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით მოგმართავთ განცხადებით დღის წესრიგში საკითხის დამატების შესახებ.

წარმოგიდგენთ შესაბამის დასაბუთებას და თანდართულ დაკორექტებულ დღის წესრიგის და რეკომენდაციების პროექტს (დანართი).

1) დღის წერიგს მესამე საკითხად დაემატოს ახალი საკითხი შემდეგი რედაქციით:

„3. სს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის დივიდენდის განაწილების შესახებ, დივიდენდის სააღრიცხვო თარიღის დადგენის შესახებ და დივიდენდის გაცემის დაწყების თარიღის დადგენის შესახებ“.

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ აქციონერებზე განწილდეს დივიდენდი 299 455 ლარის ოდენობით, დივიდენდის სააღრიცხვო თარიღად დადგინდეს 2023 წლის 11 დეკემბერი, დივიდენდის გაცემის დაწყების თარიღად დადგინდეს 2023 წლის 2023 წლის 21 დეკემბერი“.

**დასაბუთება:**

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი" ჩამოყალიბდა მოგების მაგენერირებელ კომპანიად. მისი ფინანსური ანგარიშგებების ანალიზი ცხადყოფს, რომ ბოლო წლებია კომპანია აგენერირებს წმინდა და საოპერაციო მოგებას, რაც ნაღდი ფულის სახით გროვდება კომპანიის საბანკო ანგარიშებზე. ბაზარზე კომპანიის მდგომარეობიდან, შემოსავლის მთავარ წყაროსთან მიმართებით პირდაპირი კონკურენტების არარსებობიდან, ბაზრის მონაწილეთა მიმართ რეგულატორული მოთხოვნებიდან გამომდინარე ფულადი შემოსავლების სტაბილურობას საფრთხე არ ემუქრება - პირიქით, კომპანია გააგრძელებს კაპიტალთან შედარებით მატერიალური მნიშვნელობის ფულადი სახსრების დაგროვებას.
ფულადი სახსრების ინვესტირებისთვის საკმარისად მიმზიდველი ალტერნატივის არ არსებობის გამო რეკომენდებულია, დაგროვილი მოგების ნაწილი გაიცეს კომპანიის დამფუძნებლებზე დივიდენდის სახით. დივიდენდის მოცულობა უნდა განისაზღვროს იმგვარად, რომ უზრუნველყოს კომპანიის უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის საკმარისი კაპიტალის და ფულადი სახსრების დატოვება კომპანიაში.

დანართი - დაკორექტირებული დღის წესრიგის და რეკომენდაციების პროექტი.

ნინო ქურდიანი ______________

/სს „თბილისის საფონდო ბირჟის" გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი/

დანართი: „დაკორექტირებული დღის წესრიგი და რეკომენდაციები“

**დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:**

1. ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ცვლილების შესახებ;
2. ცენტრალური დეპოზიტარის სადამფუძნებლო შეთანხმების (მ.შ. წესდების) დამტკიცების შესახებ (მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით).
3. სს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის დივიდენდის განაწილების შესახებ, დივიდენდის სააღრიცხვო თარიღის დადგენის შესახებ და დივიდენდის გაცემის დაწყების თარიღის დადგენის შესახებ.

**სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“**
**სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექციის**
**რეკომენდაციები დღის წესრიგთან დაკავშირებით**

1. **დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით**

***რეკომენდაცია:***
ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ოთარ შარიქაძის (პ/ნ 01024019905) ნაცვლად 3 წლის ვადით არჩეული იქნას ირაკლი კირტავა (01024000443, საქართველო, თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 8, ბინა 7)

2. **დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით**

***რეკომენდაცია:***
დამტკიცდეს სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ სადამფუძნებლო შეთანხმების (მ.შ. წესდების) წარმოდგენილი რედაქცია აქციონერთა შენიშვნების გათვალისწინებით.

3. **დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით**

***რეკომენდაცია:***
„სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ აქციონერებზე განწილდეს დივიდენდი 299 455 ლარის ოდენობით, დივიდენდის სააღრიცხვო თარიღად დადგინდეს 2023 წლის 11 დეკემბერი, დივიდენდის გაცემის დაწყების თარიღად დადგინდეს 2023 წლის 2023 წლის 21 დეკემბერი.